


A dark blue vertical bar runs along the left edge of the page. A blue arrow-shaped graphic points to the right, containing the text '2021 წელი'. In the bottom left corner, there are several thin, curved lines in shades of blue and grey, resembling stylized grass or reeds.

2021 წელი

შპს ბესტ გრუპის 2021 წლის ფინანსური ანგარიშგებები და ახსნა- განმარტებითი შენიშვნები

შპს ბესტ გრუპ (405401603)
ქ. თბილისი. დოდო აბაშიძის 10

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2021	31/12/2020
ნეტო ამონაგები	12,701,447.00	547,453.00
საქონლის გაყიდვიდან	-	-
მომსახურების გაწევიდან	-	-
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	12,701,447.00	547,453.00
სხვა	-	-
გაყიდვების თვითღირებულება	(12,142,097.00)	(547,199.00)
საწყისი მარაგები	-	-
მარაგების შესყიდვა	-	-
გადამუშავების დანახარჯები	-	-
საბოლოო მარაგები	-	-
საერთო მოგება	559,350.00	254.00
სხვა საოპერაციო შემოსავალი	32,391.00	17,707.00
დასაქმებულთა ანაზღაურება	(1,760.00)	-
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	(227.00)	-
საპროცენტო შემოსავალი	-	-
საპროცენტო ხარჯი	(10,080.00)	-
იჯარის ხარჯი	-	-
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(14,764.00)	-
სულ საოპერაციო ხარჯები	5,560.00	17,707.00
საოპერაციო მოგება	564,910.00	17,961.00
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-	-
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-	-
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-	-
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	(653.00)	-
მიღებული დივიდენდები	-	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-	(3,646.00)
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	564,257.00	14,315.00
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	564,257.00	14,315.00
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	-	-
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგ	-	-
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	-	-
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	564,257.00	14,315.00
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	14,315.00	-
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	-	-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-	-
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-	-
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-	-
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	578,572.00	14,315.00

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა

	31/12/2021	31/12/2020
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	243,214.00	65,126.00
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	200,287.00	59,087.00
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	77,686.00	63,015.00
მარაგები	3,346,564.00	1,015,608.00
მზა პროდუქცია	3,346,564.00	1,015,608.00
სხვა	-	-
საინვესტიციო ქონება	-	-
სხვა მოკლევადიანი აქტივები	770,559.00	113,460.00
ბიოლოგიური აქტივები	-	-
თვითღირებულების მოდელით	-	-
გადაფასების მოდელით	-	-
გუდვილი	-	-
სხვა არამატერიალური აქტივები	3,975.00	-
ძირითადი საშუალებები	17,830.00	4,140.00
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	-	-
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები	-	-
სულ აქტივები	4,660,115.00	1,320,436.00
ვალდებულებები		
საიჯარო ვალდებულება	-	-
სავაჭრო ვალდებულებები	479,023.00	-
ანარიცხები	46,113.00	-
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	385,524.00	256,788.00
საგადასახადო ვალდებულებები	106,751.00	54,908.00
გამოუმუშავებელი შემოსავალი	-	-
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	2,966,407.00	906,780.00
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	84,000.00	84,000.00
მიღებული გრანტები	-	-
სხვა ვალდებულებები	13,725.00	3,645.00
სულ ვალდებულებები	4,081,543.00	1,306,121.00
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	-	-
საემისიო შემოსავალი	-	-
გამოსყიდული საკუთარი აქციები	-	-
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	578,572.00	14,315.00
გადაფასების რეზერვი	-	-
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	-	-
სულ საკუთარი კაპიტალი	578,572.00	14,315.00
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	4,660,115.00	1,320,436.00
სულ მოკლევადიანი აქტივები	4,638,311.00	1,316,296.00
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	4,081,543.00	1,301,757.00

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2021	31/12/2020
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	205,079.00	(14,189.00)
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	(19,050.00)	(4,685.00)
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-	84,000.00
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	186,029.00	65,126.00
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(7,941.00)	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	65,126.00	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	243,214.00	65,126.00

შპს ბესტ გრუპის 2021

წლის ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ბესტ გრუპ 2020 წლის 4 ივლისს ქ. თბილისში მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად დაფუძნდა, რომელიც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას წარმოადგენს. კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილი მდებარეობს თბილისში. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს: საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა; სამშენებლო-სამონტაჟო და მასთან დაკავშირებული სხვა სამუშაოები.

კომპანიის დამფუძნებელი და დირექტორია მიხეილ ბარბაქაძე, პ/ნ 01025015389.

2. მომზადების საფუძველი

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპისა და ისტორიული ღირებულების მეთოდის გამოყენებით.

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ლარი, რომელიც კომპანიის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს, შესაბამისად ყველა ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილია ლარში. საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს, 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

3. შემოსავლის აღიარება

შემოსავალი მომსახურების გაწევიდან აღიარდება მაშინ, როდესაც შესაძლებელია ამონაგების საიმედოდ შეფასება, კონკრეტული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოღინება საწარმოში, ასევე შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისათვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება. შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახდის გარეშე.

4. ხარჯის აღიარება

ხარჯები მოგება და ზარალის ანგარიშგებაში ასახულია შესაბამისობის პრინციპის მიხედვით.

შპს ბესტ გრუპის 2021

წლის ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

5. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ეროვნულ ვალუტას საბანკო ანგარიშებზე, ხოლო ნაღდი ფული კომპანიას საღაროში არ აქვს.

6. გაცემული ავანსები

ანგარიშგებაში ასახულია თანხები, რომლებიც მომავალ პერიოდებში საქონლის, ან მომსახურების მისაღებადაა განსაზღვრული. ასეთი წინასწარი გადახდა საწარმოსთვის აქტივს წარმოადგენს. გაცემული ავანსები კომპანიისთვის საქონლის, ან მომსახურების მიღების, ან გაცემული ავანსის თანხის უკან დაბრუნების უფლებას აძლევს.

7. მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მათი თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და მარაგების ტრანსპორტირების ხარჯებს. სასაქონლო მარაგების ნაწილი გახარჯულია და ჩამოწერილია სამშენებლო სამუშაოებისთვის, ფორმა 2-ების საფუძველზე საშუალო შეწონილი მეთოდით.

8. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომლებიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხებათ ექსპლუატაციაში შესვლის თარიღიდან წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით. ძირითადი საშუალებები ძირითადად მოიცავს სამშენებლო მოწყობილობებს და საოფისე აღჭურვილობას, რომელთა სასიცოცხლო ციკლი მოწყობილობების შემთხვევაში შეადგენს 2-5 წელს, ხოლო საოფისე ინვენტარის შემთხვევაში 5 წელს.

შპს ბესტ გრუპის 2021

წლის ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

9. სავაჭრო მოთხოვნები

კომპანიას სავაჭრო მოთხოვნების ანგარიშზე ასახული აქვს თანხები, რომლებიც გამომდინარეობს დარიცხული შემოსავლებიდან და რომელთა ანგარიშწორებაც საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის არ განხორციელებულა. ისინი ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობით და კომპანიის მხრიდან პროცენტი არ ერიცხება.

10. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. კომპანია მოკლევადიან ვალდებულებად აღიარებს ვალდებულებას, რომლის დაფარვაც შემდეგი 12 თვის განმავლობაშია მოსალოდნელი.

დირექტორი:

მიხეილ ბარბაქაძე

